**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 111 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 111

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს — 5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს — 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს — 3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს — 3 მ. თიბათვის 1 ს — 2 მ. და ენკენისთვის 1-ს — 2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


ელენე ნიკოლოზის ასული, თამარა გაბრიელის ასული ელიოსისძენი და კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასული ჯანდიერისა გულითადის მწუხარებით აცხადებენ გარდაცვალებას პირველი შვილისას, მეორე ძმისას და მესამე დისწულისას.

**ნიკოლოზ გაბრიელის ძის ელიოსიძისას.**

პანაშვიდები 12 მაისს დილით 12 და საღამოს 7 საათზედ. მიცვალებულს წირვას მოასმენინებენ ქვაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენება 13 მაისს დილის ათ საათზედ. სახლი მიხეილის პროსპექტზედ № 158, ეზოში. (2—157—1)

---

# ახალი წიგნი

## ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

## პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

## ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

**для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.**

**ფასი 1 მან.**

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

---

**გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი**

# ჯგუფი ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

**ტარ. მომცელიძისა.**

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцелидзе. (წლ.).

---

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

# ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეძლევა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

---

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა"

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| მარადი თანხა . . . . | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა . . . . | 2.664.808 მან. |

**დაზღვევის ოპერაციები.**

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავ ქონებისა.

გ) დაზღვევა უეცარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან- სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—32)

---

**«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»** გამგეობა ამით აცხადებს, რომ

შაბათს, 15 მაისს, საღამოს 7 საათსედ,

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

## საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1903 წლის მოქმედებისა,

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიურ ანგარიშის შესახებ,

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1904 წლისათვის,

4) შემოწირულება,

5) სხვა-და-სხვა მოხსენება,

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა, გამგეობის წევრთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატებისა,

7) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (11—უ—6).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# პეპანა

2.

# ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ად დებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотности.

---

მთავრობის მიერ დაარსებული ქუთაისის ქალთა პროგიმნაზია.

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენიები პროგიმნაზიის ახლად გახსნილ 2 კლასში დაიწყება 18 მაისიდგან, მოსამზადებელ და პირველ კლასებში 21 მაისიდგან. დაწვრილებით ცნობები ეგზამენების შესახებ შეუძლიანთ მსურველთ შეიტყონ პროგიმნაზიაში, მესხეთის ქუჩაზედ, ტყეშელაშვილის სახლებში. (3—6—3).

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16° გ.

ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შოთრუდ აღმოსავლეთის დაფერადებული

# ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

გამოვიდა და ისყიდება

# კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

---

# იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უქირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.

(10—6—10)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, ელისაბედის ქუჩა, № 41.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

# პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-თერაპია

**გ. ს. ღვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова. წლ.

---

# კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მუშიძე**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალაჯარაშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მოსიძე.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროთერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. ილხილიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

---

# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონელების ჯარი მანჯურიაში.—„მწვანე ქირი" ხარბინში.—იაპონელების ჯარის გაწყობა.—ტრედის ფოსტა.—წვრილი ცნობანი.

მეომართა ჯარის მოძრაობისა მანჯურიაში ნამდვილი არა ვიცით-რა. რუსეთის ჯარის შესახებ არა ითქმის-რა, რადგან შესაძლოა მტერმა გაიგოს როგორმე ისეთი ცნობები, რაც დრომდე საიდუმლოდ უნდა დარჩეს. იაპონიის ჯარის მოძრაობას-კი რუსის ყაზახთა რაზმები იკვლევენ, რამდენადაც კი შეიძლება. იმათის ცნობებით, რომლებიც, უფრო მოწინავე რაზმებს შეეხება, იაპონელების ლაშქარი, გენერალ კუროკის სარდლობით, ფინ-ხუან-ჩენიდგან გაჩქარებით მოდიოდა ორს მხარეს—მუკდენსა და ლიაოიანზე. მაგრამ ბოლოს დროს გენერალ კუროკის თავისი ჯარი უკან დაუწევია ფინ-ხუან-ჩენისკენ. აქ ამ ლაშქარს უერთდება მეორე ლაშქარი, გენერალ ოქუს სარდლობით, რომელიც ვითომ ლიაოიანისკენ მიდიოდა, რომ მიშველებოდა იმ ჯარს, რომელმაც პორტ-არტურს ალყა შემოარტყა. ეტყობა, გენერალ კუროკიმ თავის ლაშქრით ვერ გაბედა რუსის ლაშქარს დასცემოდა და ამიტომ მეორე ლაშქარიც შეიერთა. შესაძლოა, გენერალ კუროკის მუკდენსა და ლიაოიანზე გალაშქრება ფიქრადაც არა ჰქონია, ხოლო განგებ დააწინაურა რამდენიმე რაზმი მუკდენისკენ იმ განზრახვით, რომ გენერალ კუროპატკინსაც იქ მოეყარა თავისი ჯარი, ლიაოდუნის ნახევარ კუნძულსა და ნიუ-ჩუანიდანაც დაეწია რაზმები და ამით იაპონელების მესამე ლაშქრისთვის დაეთმო რკინის გზის ლიანდაგი პორტ-არტურიდგან ლიაოიანამდე. თუ მართლა ეს განზრახვა ჰქონდა გენერალ კუროკის, მართლა რომ მოხერხებულად შეასრულა თვისი სურვილი. რაკი იაპონელების მესამე ლაშქარი ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულს შეესია და პორტ-არტურს ალყა შემოარტყა, გენერალ კუროკის მეტად-ღა ანუ უდროოდ მიაჩნია თავის ლაშქრის წინ წაწევა და ფინ-ხუან-ჩენთან შეჩერდება, ვიდრე აქ ძალ-ღონეს არ მოიკრებს. გენერალი კუროპატკინიც საფიქრებელში ჩაეარდა, არ იცის, საიდგან წააწყდება მტერი და ამის გამო თავისი ჯარი ერთს ადგილს შეჩერებული უნდა ჰყავდეს. თუ პორტ-არტურის დასახსნელად წავიდა ან ლაშქრის ნაწილი გაგზავნა, მაშინ კუროკიც წინ წავა მუკდენზედ, თუ არა და, იაპონელების მესამე ლაშქარი პორტ-არტურის აღებას ეცდება, რომელიც მეციხოვნეთა ანაბარად არის.

ამ ჟამად ფინხუანჩენთან, გენერალ კუროკის ლაშქარს, რომელშიაც 66,000 კაცია, 234 სავაკეო და 20 ციხის სანგრევ ზარბაზნით, უერთდება გენერალ ოქუს ორი დივიზია, რომელშიაც 40,000 კაცი უნდა იყოს 84 ზარბაზნით. სულ შეგროვდება 205,000 კაცი 338 ზარბაზნით. ამას გარდა გენერალ კუროკის ერთი დივიზია კუან-დიან-სიანთან არის, ერთი დივიზია ბიძივოსთან (22,000 კაცი 82 ზარბაზნით და მარშალ ნოძუს მესამე ლაშქრის ერთი დივიზია 20,000 კაცი 42 ზარბაზნით)—სენ-იუჩენთან. იაპონელებს სულ უნდა ჰყავდეთ მანჯურიაში 167,000 მეომარი 504 ზარბაზნით. მარშალ ნოძუს ხუთი დივიზია (65,000 კაცი და 234

ზარბაზანი), როგორც ეტყობა, ლიაოდუნის ნახევარ კუნძულის დასავლეთად გადმოვა და ერთი დივიზიაც (20,000 კაცი და 42 ზარბაზანი)—გენზანთან. კორეაში დარჩება ყოველ შემთხვევისათვის ერთი დივიზია (20,000 კაცი 42 ზარბაზნით. თვით იაპონიაში უნდა იყოს შეკრებილი ანუ ეხლა იკრიბება მეოთხე ლაშქარი (136,000 კაცი 456 ზარბაზნით), სავარაუდო ჯარი (50,000 კაცი 114 ზარბაზნით) და ციხე-სიმაგრეების არტილერია სულ 200,000 კაცამდე. შესაძლოა ამათგანაც ზოგი ომის ველს გადიყვანონ, ასე რომ ივნისამდე მანჯურიაში იაპონელებს ეყოლებათ 270,000 მეომარი და 800-ზე მეტი ზარბაზანი (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან დეპეშით იტყობინებიან, იაპონელებმა 40 დიდი ციხის სანგრევი ზარბაზანი გადაიტანეს ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის აღმოსავლეთის ნაპირსაო. მუკდენიდან იწერებიან, იაპონელების სამი ლაშქარი ხაი-ჩენზე მიდისო. 30,000 ჯარის-კაცი გზა და გზა იქმნება დატოვებული და 10,000 კაცი პორტ-არტურს უდარაჯებს ხმელეთიდან (პ. ვ.).

—

ერთი კორესპონდენტი იწერება, შორეულ აღმოსავლეთში რუსის ჯარს ახალი მტერი აღმოუჩნდა, რომელიც იაპონელებზე საშიში არისო· მუკდენში რაღაც სენი მოედოთ იმ ჯარის-კაცებს, რომლებიც ჩინელების სახლებში ბინადრობენ რუსი ექიმი ამბობს, ამ სენს მწვანე ჭირი ჰქვიან. ჯერ-ჯერობით 17 კაცი გამხდარა ავად და მათგან 5 მომკვდარა. ჩვენ არ ვიცით, რა წამალი არგებს ჭირიანსაო; ჩინელები-კი ირწმუნებიან, ვითომც დღემდე ამ ჭირის ხსენებაც არ გაეგონოთ (იქვე).

—

გაზეთ «ტაიმსის» კორესპონდენტი იწერება, ჩინეთი ნეიტრალიტეტს არ დაარღვევსო. ყველა მითქმა-მოთქმა, ვითომც ჩინელები იაპონელებს მიემხრობიანო, გერმანელების მოგონილია, რომელთაც იუანშიქაის დამხობა უნდათ, რადგან ის გერმანელების მოქმედების წინააღმდეგია და ამტკიცებს, გერმანელები რუსებზე უარეს დღეს დაგვაყენებენო. (იქვე).

—

«ვოსტ. ობლ.»-ის კორესპონდენტს, რომელიც ხარბინში დასახლებულა, შეუკრებია რუსების სარდლების აზრი იაპონელ ჯარის შესახებ. იაპონიის ჯარი ისეთი მტერია,—უთქვამთ სამხედრო კაცებს, რომლებთანაც ბრძოლა ადვილი საქმე არ არისო.

ყოველ დაბალ ჯარის კაცისათვის იაპონელები გულ-დადებით ზრუნავენ. სცდილობენ მისი ყოფა ცხოვრება გააუმჯობესონ და რიგიანად მოაწყონ. ყველაფერში დიდი ყურადღება და გულ-მტკივნეულობა ეტყობათ. სამხედრო ტანთ-საცმელი ჯარის კაცებს გაწყობილი აქვს, იარაღი ადვილად სატარებელი და მოსახმარი, სასმელ-საჭმელი—მაძღრისად და შემარგი. ომის დროს დღეში 15 ვერსზე მეტს არ გაატარებენ, რადგან მეტი სიარული ტანჯვად მიაჩნიათ. როდესაც 1900 წელს რუს-იაპონიის შეერთებული ჯარი პეკინზე მიდიოდა, გენერალმა ლინევიჩმა ბრძანა, დღეში 30 ვერსი უნდა გაიარონო, ხოლო იაპონელების სარდლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, ჩვენ ჯარის კაცებს გაჭარბებულის სიარულით ვერ მოვქანცავთო. რაც შეეხება სიმარდესა და მხნეობას, ჩემის თვალით ვუყურებდი, იაპონელების ბატალიონმა იერიშით ერთი ფორტი როგორ აიღო. არც ერთი თოფი არ გავარდნილა, ფეხ-აუჩქარებლივ, ერთგვარი ნაბიჯით მიდიოდნენ აფიცრებიცა და დაბალი ჯარის კაცებიც. აფიცრები სულ დაიხოცნენ, დაბალი ჯარის კაცების მესამედიც დავარდა, ხოლო დანარჩენი შეუფერხებლად მიდიოდა და სიმაგრეს მიადგა. ასეთმა უცნაურმა იერიშმა ჩინელებს თავზარი დასცა და ციხე-სიმაგრე უბრძოლველად მიატოვებინა. როგორც ვიცით, თვით გენერალმა კუროპატკინმა განაცხადა, ვამაყობ, რომ ამისთანა მტერი მყავსო.

—

«დეილი ნიუსი» იუწყება, უკანასკნელად რომ რკინის გზის მატარებელმა პორტ-არტურს სამხედრო იარაღი და მასალა წაუღო, თან 200 გაშინაურებული და გაწვრთნილი ტრედი მიიყვანა, რომელთაც ფოსტის მაგიერობა უნდა გაუწიონ პორტ-არტურს და იქიდგან წერილები გადმოუტანონ რუსის მთავარ-სარდალს. ეს ტრედები შორეულ-აღმოსავლეთში პოდპორუჩიკ ევტუშევსკის გადუყვანია. ტრედების სადგურები გაუმართავს პორტ-არტურს, ლიაოიანს, მუკდენსა და ხარბინში. დღე და ღამეში საფოსტო ტრედი 500 ვერსის მანძილს გადაფრინდება. (ნოვოსტი).

—

ხარბინიდგან იუწყებიან, ქალაქი და რკინის გზა უშეშოდა რჩებაო. მეშეშეებმა ომიანობით ისარგებლეს და ერთი საჟენი შეშა, რაჯურისაც უნდა იყოს, 80 მან. გახადეს. ეს კიდევ არაფერი, საშოვარი რომ იყოს. რკინის გზა ცდილობს როგორმე მოაწყოს ეს საქმე და შეშა ეტლებით აზიდვინოს. ამ ხანად კი წივით ათბობენ სახლებს. (რ. ვ.).

—

სამხედრო მასალის გადმოსაზიდად ფინხუან-ჩენიდგან ლიაოიანამდე ჩინელი მეეტლები თითო ფუთში 3 მანათს ართმევენ რუსებს ხულ 180 ვერსის მანძილია. (ნოვოსტი).

# ტფილისი

*** ყოვლად სამღვდელო ბენიამინი, ეპისკოპოსი გორისა, წუხელ საღამოს წაბძანდა გორში. ეპისკოპოსი ბენიამინი სწირავს 13 მაისს გორის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში, რომელიც აშენდა გიორგი მთაწმინდელის სახელზე და რომლის ხსენებასაც ქართველთა ეკლესია დღესასწაულებს 13 მაისსა.

*** 23 მაისს ქ. გორში, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. გ. ბაგრატიონ-დავითიშვილის მეთაურობითა, გაიმართება ჭიდაობა წითელის ჯვრის სასარგებლოდ.

*** დღეს, 12 მაისს, ტფილისში მოელიან მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ალექსის, რომელიც კახეთში იყო წასული იქაურ ეკლესიების დასათვალიერებლად.

*** კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ შეადგინა მოკლე საჰიგიენო და სამკურნალო დარიგებანი და ცალკე ფურცლებად აღბეჭდა, საზოგადოებამ სთხოვა კავკასიის მთავარმართებელს, ნება მოგვეცით სოფლის ადმინისტრაციისა და სამღვდელოების შემწეობით ფურცლები მცხოვრებთა შორის გავარცელოთო. მთავარ-მართებელმა სამკურნალო საზოგადოების თხოვნა დააკმაყოფილა.

*** გორის ქალაქის თავმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, ფულით შემწეობა აღმოუჩინე ქალაქს ჯარების ბინების დასაქირავებლადაო.

*** კიევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი გრენი, რომელმაც ამას წინად თავის გაზეთ „როსსია და აზია“-ში უშვერი წერილი დასტამბა ქართველთა შესახებ, უნივერსიტეტს დაუთხოვნია თანამდებობიდან.

*** 23 მაისს ქართულ თეატრის მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქმნება თავ. სუმბათაშვილის «ღალატი». წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ქეთ. ანდრონიკაშვილი, მ. საფაროვ-აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი და ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე და სხვანი. ზეინაბის როლს ქალ. ქეთო ანდრონიკაშვილი შეასრულებს.

*** დღეს, 12 მაისს, საღამოს 8 საათზე, მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის კანცელარიის სადგომში კრება ექმნება სრულიად რუსეთის მეხილეობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებას, განსახილველია: 1) მიმდინარე საქმეები, 2) გ. ი. გოგოლინოვსკის მოხსენება კახეთის საუფლისწულო მამულებში სეტყვის საწინააღმდეგო მორტირების მოწყობაზე და 3) მისივე მოხსენება იმ ზარალის შესახებ, რომელსაც ვაზის პატრონთ ერთგვარი ჭია აძლევს. კრებაზედ დასწრების უფლება ყველას აქვს.

*** ტფილისის ქალაქის სარევიზიო კომისიას ამ დღეებში დაუთვალიერებია ქალაქის მიწები. ამ კომისიის თავმჯდომარემ აუწყა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის მიწების საზღვარი ლოტკის-გორასა და ნავთლუხში არ არის აღნიშნული, რის გამოც ათასი ვინმე ითვისებს ქალაქის მიწებსაო. თავმჯდომარე სთხოვს, მიიღეთ რამე ღონისძიებანიო.

*** საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ გუშინ-წინ ავლაბარში დაათვალიერა ის ადგილი, სადაც ქალაქის საერთო საავადმყოფოს აგებას აპირებენ. ეს ადგილი ზოგი ქალაქისაა, ზოგი სადავოა, ზოგი-კი მითვისებულია სხვის საკუთრების მოყვარულთა მიერ. ავლაბარში ქალაქის მიწებს ღობეს შემოავლებენ მოკლე ხანში. საზღვრები უკვე აღნიშნულია.

*** ვარაუდით, ტფილისის სახელოსნო სასწავლებელს მომავალ წელს 40379 მანეთი ხარჯი ექმნება, შემოსავალი—ამდენივე.

*** ტფილისის ქალაქის პირველ-დაწყებით სასწავლებლებში ეგზამენები უკვე დასრულდა და მოსწავლენი დათხოვნილ იქმნენ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სეკდემბრამდე მთელი ჯამაგირი მისცეს ამ სკოლების ზედამხედველებსა და მასწავლებლებს.

*** ტფილისის საქონლის მოედანზედ ბევრი საქონელი მორეკეს, მაგრამ ძვირად კი აფასებდნენ, რამაც გამოიწვია ხორცის სიძვირე ტფილისში.

*** რედაქციამ მიიღო რუსული წიგნი «კახეთის რკინის გზა» ი. ზ. ანდრონიკაშვილისა. წიგნში მოთავსებულია ის მოხსენება, რომელიც ზემო-ხსენებულმა ავტორმა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში წაიკითხა შარშან, 4 თებერვლის კრებაზედ.

*** გუშინ საღამოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ი. კ. ივანოვსკი ბათუმს წავიდა, საიდანაც ტფილისში 14 მაისს დაბრუნდება.

## სამი ახალი წიგნი ი. ს. გოგებაშვილისა.

(შემდეგი *).

რა არის სამშობლო ენა? იგია სულის უზენაესი ორგანო, იგია ეროვნების ბურჯი, იგია ფუძე, რომელზედაც არის დამყარებული ერის პროგრესი, კეთილ-დღეობა და მომავალი.—«რა ენა მოკვდეს, ერიც დაეცეს», სამართლიანად გაიძახის ჩვენი პოეტი. დედა-ენაა ის უშრეტი უკვდავების წყარო, რომელიც კამკამებს ერის სულიერ მდელოზედ და ფურჩქნის ზედ გრძნობის, გონების, ნიჭის, ზნეობის და შემქნელ ძალთა საამო ყვავილებს. ეს კამკამა წყარო აცხოველებს ერის სულიერ ბუნებას, აშორებს შემხუთავ გვალვას, ჰმოსავს საამურ მწვანით და აძლევს სიცოცხლეს და უკვდავებას. რამდენათ მეტია ეს წყარო, რამდენათ უფრო სუფთა და ანკარაა, იმდენათ უფრო მარგებელი და მაცოცხლებელია იგი ერის სულისთვის. მოუსპე რომელსამე ერს სამშობლო ენა, რას ვნახავთ ნეტა? ამ ერის სული ემგვანება მაშინ უწყლოს, გვალვისაგან გადამწვარ ველს, საზარლათ გარუჯულ ბიაბანს. აქ ერს ემართება სწორეთ ის, რაც მოსდის ბუნებას: ჩვენ ხშირათ ვმზერთ დედამიწაზედ გადამწვარ ველთ და ქვიშით მოსილ უდაბნოებს, რომელნიც ზარვენ ადამიანის მზერას. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზია ის, რომ ამ ადგილთ ან დაშრობიათ ან სულ არ ჰქონებიათ წყალი, ეს მაცოცხლებელი სტიქიონი.

ნეტა რას ეგვანებოდა ადამიანი, რომ

*) იხ. «ივერია», № 108.

# ფელეტონი

## ქართული თეატრი

ამბობენ, რომ ხელოვნებას სამშობლო არა აქვს და მთელ ქვეყანას თანასწორად ეკუთვნისო. მე-კი ასე არა მგონია. ყოველ დარგს ხელოვნებისას აქვს სამშობლო, მაგრამ განსაკუთრებითი... განკერძოებული სამშობელო, მამული-კი არა, ის ღვიძლი შვილია იმ კუთხისა და იმ ერის, სადაც პირველად თავი უჩენია და იმავე დროს შვილად შეტკბილი გერია მთელის კაცობრიობისაც. და მიტომაც ხელოვნებას საზოგადოდ პირველი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი, როგორც საერთაშორისო კავშირს. გაუკულმართებულმა ცხოვრების მოთხოვნილებამ იმდენად გააწუწკა ადამიანი და აუშალა საპირადო სადღეღელი, რომ თვითოეული კაცად-კაცადი მხოლოდ თავისთავზე ჰფიქრობს. საკუთარ კერას იჩაღებს და სხვებისაზე-კი წყალს ასხამს. ამ გზასვე ადგიან საერთოდ თვით სხვა-და-სხვა ერები, რამაც გამოიწვია ერთაშორის უთანხმობა, შური, მტრობა, გაუტანლობა და ბრძოლა. დღეს ეს უსამართლობა იმდენად მოდებულია საქვეყნოდ, რომ სახარებაც ვეღარ ასწორებს. და აბა-კი როგორ უნდა გაასწოროს, რომ, სადაც გული წმინდა არ არის და სული წრფელი, იქ სიტყვა ქრისტესი ვერ ისადგურებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ყველას შეგნებული აქვს და საერთოდ სცდილობენ ადამიანის გრძნობა-გონების ასამაღლებლად სულისა და გულის გასპეტაკებას, რომ კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება დამყარდეს. დიაღ, სცდილობენ, მაგრამ გზა და ხიდი სხვა-და-სხვა აქვსთ არჩეული: უმეტესობა შიშითა და ძალმომრეობით... ცეცხლითა და მახვილით ჰფიქრობს მ პროგრამის განხორციელებას და რჩეულნი-კი, მომავალ აღთქმის მოციქულ-წინამორბედები, სულისა და გულის გასასპეტაკებელ იარაღად მხოლოდ სხვა-და-სხვა გვარ ხელოვნებას აღიარებენ. სათეატრო ხელოვნებაც ერთი მათგანია. იგივე მხატრობაა, მხოლოდ უფრო მეტყველი და საგულისხმო. შემცდარია ის, ვისაც უბრალო, უნაყოფო გასართობ რამედ მიაჩნია!. სცენა სწორედ რომ წმინდა ტრაპეზია, რომელიც გულ-წრფელ მსახურებას მოითხოვს.—

ასე ვფიქრობდი მე, როდესაც, ქართულ სცენაზე შემოვდგი ფეხი. სურვილი დიდი მქონდა მემსახურნა, იმედები კიდევ უფრო მეტი, მაგრამ, ზოგი ჩემის უძლურებით, და ზოგიც სხვა-და-სხვა გვარ მოულოდნელ დაბრკოლებათა გამო, ჩემმა ოცნებამ ამაოდ ჩაიარა და დამარწმუნა, რომ არავითარ შრომასა და მეცადინეობას არ შეუძლია იმ უკუღმართობის გასწორება, რომელიც დღეს ქართულ სცენაზე არსებობს, თუ სამკურნალო ცვლილებანი არ იქმნა შემოღებული. რასაც ტყვილა არ ვტრაბახობთ, დრამატიულ ხელოვნებას ჯერ ფეხიც არ შეუდგამს ქართულ სცენაზე და ჩვენ რომ ვჯერდებით, ის მხოლოდ უბრალო ტიკინობაა, ანუ ბავშური ბურჭულობაა უსულო დედოფალებთან. მართალია, ქართულ სათეატრო დასშიაც თითო-ოროლა მისთანაც ურევია, რომ არტისტობა ეთქმის, მაგრამ ეს არა კმარა. . მესაკრავეთა გუნდში, რომ ორიოდე კარგი დამკვრელიც იყოს, თუ-კი დანარჩენები უვარგისები იქმნებიან, რაღა კონცერტი შესდგება? ან და მომღერლებში, რომ ერთი და ორი კარგად იმღეროდეს და სხვები-კი ხრინწიანის ხმით ალთა-ბალთას გაიძახოდენ, რაღა გასაგონი იქნება? ამ გვარი გუნდია სწორედ ჩვენი მსახიობთა დასიც. მათ დღევანდელ უვარგისობას უნიჭობას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ რა გამოვა მარტო ნიჭით? უდაბნოში სუნნელოვანი ყვავილი ვერ იხარებს, თუ მზის სხივები და ციური ნამი აკლია. ხელოვნებაც ისეა. თუ სულიერი საზრდო გამოლია და გრძნობა-გონების წრთვნამა და განვითარებამ არ აახიბინა, უნაყოფოდ დასჭკნება. ჩვენ არტისტებსაც, ნიჭს გარდა, ყოლიფერი აკლიათ.

არ გამოუვლიათ სათეატრო შკოლა, არ იციან ის დედა-ენა, რომელზედაც ადგენენ, ხელოვნების არა გაეგებათ რა და არც სურვილი აქვსთ, რომ შეისწავლონ. ამისთანა ხალხის წინწამძღოლა და სწორგზაზე დაყენება ძნელია. მაგრამ მაინც რადგანაც უსაშველო არა არისრა ამ გვარ შემთხვევაში, მეც თავი არ მოვარიდე, ამოვუდექ გვერდში ქართულ დასს და ვფიქრობდი, ნელ-ნელა, დღეს-ხვალობით ცოტა რამ გამესწორებინა!.. სწორეთ გულით ვიყავ მონდომილი, მაგრამ სხვა და-სხვა მოულოდნელი დამაბრკოლებელი მიზეზები გადამეღობა წინ.

ნაპოლეონმა ჰკითხა ერთხელ ერთს მისს სარდალთაგანს: ომში რატომ არ მიიღე მონაწილეობაო? და სარდალმაც უპასუხა: სამას სამოცდა ხუთი მიზეზი მქონდაო. პირველი ის, რომ ტყვია-წამალი შემომაკლდაო... აქ ნაპოლეონმა გააწყვეტინა სიტყვა სარდალს: ეგ ერთიცა კმარა! სხვების ჩამოთვლა რაღა საჭიროაო?.. ამისი არ იყოს, ის დაბრკოლებანი, თეატრში რომ დამიხვდენ, მისთანები იყვნენ, რომ თვითოეული მათგანიც საკმარისია საბუთად! მაგრამ მე კიდევ მაინც მოვიხსენებ ზოგიერთს:

პირველი. დავიწყოთ თეატრის შენობიდან!.. შენობა თავშესაფარ საობურის ნაცვლად საყინულე გამოდგა. სცენაზე არტისტები ცახცახობდენ სიცივით და პარტერში პუბლიკა. ერთხელ ნაწნევი, მეორეთ ვეღარ მოისურვებდა მოსვლას და თუ კიდევ გაბედავდა და მეორედ მოვიდოდა, ალბად ნამეტანი პატრიოტულ მხურვალების ბრალი იქნებოდა. თეატრის ზალას ათბობდენ, შეშას საყენობითა სწვავდენ, მაგრამ მაინც არა გამოდიოდა რა, რადგანაც მიზეზი გარედან იყო: სარკმელებიდან და კედლების ჯუჯუტანებიდან უბერავდა საგულ და გულო რემონტი იყო საჭირო და ფულები კი არსად იყო. ხალხი ერთი ორად მეტი ივლიდა, რომ სიცივეს არ დაეფრთხო, და ამ მხრივ დიდი ზარალი ნახა სეზონმა...

მეორე. რას ადგენენ ამ საყინულეში?—ვითომ და პიესებს! სათეატრო ბიბლიოთეკაში ორასზე მეტია წარმოსადგენად ნება დართული პიესები, მაგრამ ყველა ერთად კი ერთ ხეირიან პიესად არა ღირს, მათის უვარგისობით. ორიგინალური პიესები ჩიქორთულის ენით არიან დაწერილი და ნათარგმნები და გადმოკეთებულები კი ბარბაროსულად გადმოტყავებული. ამას გარდა აზრიც დამახინჯებულია, ერთ ნათამაშევ პიესას ვერ ნახავთ ბიბლიოთეკაში, რომ ნაწამები არ იყოს, როგორც რეჟისორის, ისე არტისტების წყალობითაც. რაც არ მოსწონებიათ, გამოუკლიათ, გამოურიცხავთ და, სამაგიეროდ, თვისი რაღაცები ჩაუკერებიათ. მაგალითად აიღეთ შექსპირის კომედია „კაპასის მოთვინიერება“, სადაც შექსპირის სახელის მეტი აღარა არის რა. იმ პიესების ისე წარმოდგენა, როგორც დღემდის ყოფილა, სწორედ რომ ავტორების აგდებაა. იმათ ენის გასწორება და აზრის აღდგენა უფრო ძნელია, ვიდრე ხელ-ახლა გადათარგმნა აი ერთ-ერთი ამ გვარ პიესათაგანი უნდა აირჩიო წარმოსადგენად, ენა გააშალაშინო, აზრი აღადგინო, რაც ბევრს შრომასა და დროს მოითხოვს და სეზონში კი, როცა წარმოდგენები დაწყებულია, აღარ ესწრობა... მოუხერხებელია. ვთქვათ, რომ გაიჭირვე საქმე, გაიტეხე ძილი, ჩაუჯექი გათენებამდი, გადაასწორე პიესა და გადაეცი როლების გადასაწერად. გაუნაწილე არტისტებს მათ მათი შესაფერი როლები და დანიშნე რეპეტიციები. მაინც არა გამოვა რა... ერთხელვე დამყარებულ რეპეტიციების წესს-რიგსა ვერ მოშლი!.. ყოვლად შეუძლებელია, რომ მოთამაშეები დროზე მოვიდენ. ზოგი რამდენიმე წამს იგვიანებს .. ზოგი ნახევარ საათსა და ზოგიც კიდევ უფრო მეტს. უნდა უცადო შუადღემდი და მაშინაც კიდევ ოთხი ხუთი მათგანი სულ არ მოდის დილის რეპეტეციაზე, რადგანაც სამსახურში არიან და თავს ვერ დაანებებენ. უნდა საღამოსათვის გადასდო რეპეტიცია, მაგრამ აქაც კიდევ უარესი ამბავია: ერთი იწერება: «ქმარი არ მიშვებს, ღამეაო», მეორე: შინ არავინა მყავს და ბავშვებს მარტო ვერ დავყრიო», მესამე: «ავადა ვარო, არ შემიძლიან მოსვლაო», მეოთხე: «სახელხო თეატრში ვიყავიო» (ტყუილათ) და სხვანი. ასე რომ, გინდ დილით დაგინიშნავს რეპეტიცია და გინდა საღამოთი, სულ ერთია! ყველას მაინც ვერ მოუყრი თავს. მეტი გზა აღარ არის, უნდა შეუდგე ამ ცალყბა რეპეტიციას მაინც და მათ სამაგიეროდ ვინც არ მოვიდა, დროებით სხვანი ჩააყენო და ან სუფლიორი ალაპარაკო, რომ დანარჩენებს ცოტაც არის უხელმძღვანელოს!..

მესამე. დასი უმნიშვნელოდ არის შემდგარი. ბევრმა მათგანმა ქართული არ იცის, აზრი პიესისა არ ესმის და ხშირად, რომ გააგებიო, უნდა რუსულად აუხსნა, თუმცა, მაინცა და მაინც, არც რუსული ემარჯვება და მხოლოდ «აღექიდაჯექ, და მეღი-მოდის» ენა იცის! ბევრს მათგანს ხელნაწერის წაკითხვა არ ეხერხება. სხვის ნაწერს ვერ არჩევს და თავის ანჩინურით უნდა გადაიწეროს როლი.—და აი რას გამოუწვევია ეს ახირებულობა, რომ შინ როლს არავინა სწავლობს, და არა თუ რეპეტეციების დროს, წარმოდგენის დღესაც არტისტი სუფლიორის თვალებში შემჩერეა, რომ მისი კანანახი თუთიყუშივით გაიმეოროს. რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა არტისტს არათუ პიესის დედა აზრი არ ექმნება შეგნებელი, თვით თვისი როლიც არ ექნება გათვალისწინებული. იძულებული ხარ რომ ყველა მათგანს სათითაოდ აუხსნა პიესის დედა აზრი... გააგებიო როლის ხასიათიც, მაგრამ აქაც კიდევ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რო ნერვებ მომართულ ხალხთან უსიამოვნობა არა მოგივიდეს რა!. ძველი არტისტები (რასაკვირველია არა ყველა) დიდი აზრის არიან თავის თავზე და

არ ჰქონებოდა მას ენა? იგი დარჩებოდა ისე ველურათ, როგორც პირუტყვი, რაც უნდა დიდი ჭკუა და ნიჭი ჰქონებოდა მას. უენოთ ადამიანი, კაცობრიობა ვერ წარსდგამდა წინ ერთ ნაბიჯსაც-კი, უენოთ არ იქმნებოდა არავითარი პროგრესი. ბევრი ცხოველია, რომელნიც ჭკუით და მოხერხებით არ ჩამოუვარდებიან ზოგიერთ ადამიანს, მაგრამ ვერ წასულან წინ, გარიყულან ერთ წერტილზედ, და ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ მათ არა აქვთ ენა, ეს სულის საუცარი ორგანო. ნეტა რას ვმზერთ კაცობრიობის შორეულ წარსულში, მის ისტორიაში? რამდენათ უფრო განვითარებულია ამა თუ იმ ჯგუფის ან ხალხის ენა, იმდენათ უფრო ისინი წასულან წინ კულტურულათ. ენა, სიტყვიერება სახავს ადამიანის აზრს, გრძნობას, სურვილს და აგებინებს ამათ სხვა ადამიახთ. ამ რიგათ ხდება ხალხის წევრთა შორის სულიერ თვისებათა ურთიერთობა, რისი შედეგიც არის კულტურის შექმნა და პროგრესი. ყოველ ხალხსა და ერს ბუნების და ცხოვრების ზე-გავლენით ედება თავისებური სახე; ისინი სხვავდებიან ერთმანერთთაგან, როგორც ფიზიკურათ, გარე ფორმით, ისე სულიერათ. ამ რიგათ სხვავდება ენაც. ამიტომ რამდენათ უფრო განსხვავებულია ორი ერიც, გარე ბუნება და ისტორიული პირობანი და რამდენათ უფრო ხანგრძლივათ ცხოვრებენ ეს ერნი ამ განსხვავებულ სფეროში, იმდენათ უფრო განსხვავებულია მათი ფიზიკური არსება, ენა და სულიერი თვისებანი. ამ რიგათ დედამიწის ზურგზედ ჩვენ ვმზერთ მრავალს განსხვავებულს ეროვნულს და რასულ ტიპებს, ვინაიდან შეუძლებელია წაიშალოს რომელიმე ერის ინდივიდუალობა და დაემგზავსოს ერთი მეორეს. ამ გვარი ცდა ხშირათ იწვევს თვით ერის დამახინჯებას, ან სრულად მოსპობას, სწორეთ ასე რიგათ მავნებელია რომელიმე ერისათვის, რომ მასში მოისპოს სამშობლო ენა. ამგვარი ცდა ხრწნის ერის სულს, ამახინჯებს მის ნიჭსა და გონებას, უნსხვრევს ნება-ხასიათს, უშრობს გრძნობას და აქვეითებს მის კულტურას. ამის მაგალითები აურაცხველია ევროპა-აზიაში. მაგ. რას წარმოადგენდნენ ნეტა ავსტრიაში მადიარები და სლავიანები, ინგლისში-კი უელს-შოტლანდიელნი, რომელთაც ერთ დროს უარ-ჰყვეს თავიანთი ენა და შეითვისეს სხვისი? ეს ხალხნი შეიქმნენ ყოვლათ წამხდარნი, ლატაკნი, უმეცარნი და ზნე-დაცემულნი. დაუბრუნდნენ თუ არა თავიანთ სამშობლო ენას და მწერლობას, ეს ხალხნი თითქო მოინათლენო, ერთბაშათ გარდიქცნენ კულტურულ, მდიდარ, განათლებულ და პროგრესიულ ერებათ. აი რა ძალა აქვს სამშობლო ენას! რას წარმოადგენს საფრანგეთში შოტლანდიელთა მონათესავე ხალხი ბრეტანელნი, რომელთაც დაკარგეს თავიანთი ენა და შეითვისეს ფრანგული? ეს ხალხი მთელს ევროპაში ხასიათდება თავის უნიჭობით, უმეცრებით, ცრუმორწმუნოებით და სიღატაკით, მაშინ როდესაც მათი ნათესავი შოტლანდიელნი-კი ყოვლათ ნიჭიერი, მდიდარი და განათლებულია. აი რა რიგათ სჯის ბუნება იმ ერს, ვინც ღალატობს და ივიწყებს თავის სამშობლო ენას!

რაც უნდა შვენიერათ შეისწავლოს კაცმა უცხო ენა, მაინც იგი ვერ დაიკავებს სამშობლო ენის ალაგს. უცხო ენაა ენა მეხსიერებისა; იგი არ გამოდის ინტელიგენტის სფეროდან, მაშინ როდესაც დედა ენა არის ენა გრძნობისა და სულის ლტოლვილებათა. ამის ფესვები ღრმათაა გართხობილი სულიერ არსებაში. სამშობლო ენის დავიწყება ან მიგდება და უცხო ენაზედ სწავლა-განათლება უნახევრებს და უმღოთხედებს ადამიანს ნიჭსა და შემოქმედ ძალას. სამშობლო ენაზედ განათლება კი ბუნებრივია და ფრიად ნაყოფიერი. ამას ღაღადებენ ერთხმათ დიდი პედაგოგნი, ამას გვიმტკიცებს თვით მეცნიერება.

აი რა შვენიერათ ახასიათებს დედაენას ბ. გოგებაშვილი:

«დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული; იგი როდი გავს ტანისამოსს, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება, მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიხოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ. ყოველს ადამიანს დაბადებიდან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა, სწორეთ იმ გვარათ, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებიდანვე ბულბულის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშის ყოველს აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ხატავს სინამდვილით და სისრულით.

შემდეგ ჩვენი პედაგოგი ახასიათებს უცხო ენაზედ აღზრდილ ბავშს.—«ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავში,— განაგრძობს იგი, ვერას დროს ვერ ავა იმ გონებით სიმაღლე მდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჭს, ვერ მოეწევა, ვერ ეღირსება ჯეროვან სიღრმეს აზრისას და გრძნობისას, მეტ-ნაკლებობით გამოვა ნეკერ-ნეკერა, ქარაფშუტა პირი, უხასიათო ადამიანი და იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს თავის სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მიუცია. ასე აშკარად სჯის ბუნება ყველას, ვინც კი მას ღალატობს, არღვევს მის კანონებს და უკუღმართად იქცევა»

აი რას ამბობს დედაენის შესახებ გამოჩენილი მეცნიერი შლეიხერი.

— «დედა ენა არის თავისებური ყვავილი და ნაყოფი, რომელიც ამოდის და მწიფდება იმ თავისებურ აგებულებაზედ ტვინისა, ხმის ორგანოთა, ნერვების, ძვლების, ხორცის და სულისა, რომელნიც მინიჭებული აქვს ბუნებისაგან ყოველ ერსა და ადამიანს; ამიტომ ისე კარგათ არაფრით იცნობება ერი, როგორც ენით. მხოლოთ თავისი დედა-ენა შეუძლია ადამიანს შეისწავლოს სავსებით და იხმაროს იგი სრული სიმარჯვით. უცხო ენების შესწავლა და მოხმარება დედაენასავით ისევე შეუძლებელია, როგორც ოთხით, ან ხელებით სიარული ფეხების ნაცვლადო».

აი რას ვკითხულობთ ერთ რუსულ პედაგოგიურ ჟურნალში: «დედა-ენასთან ადამიანი დაკავშირებულია არა მარტო ფიზიკურათ, არამედ ზნეობრივათაც. ეს არის ენა ლოცვისა, პოეზიისა, ზნეობრივის და მოქალაქებრივის მოვალეობისა. იგი მიბმულია მრავალის ძაფით ჩვენს სულთან, მის ლოღიკურ ნიჭთან, მის მუსიკალურს, მგრძნობიარე მხარესთან. არიან პირნი, რომელთაც ფიქრი და აზროვნება შეუძლიათ რამდენიმე ენაზედ; მაგრამ არა გვგონია, რომ ვისმეს გრძნობა შეეძლოს გარეშე დედა-ენისა. მე უნდი დავიცვა და შევამუშაო დედა-ენა, ვინაიდან იგია უძვირფასესი საუნჯე ადამიანისა და მასთან შეხორცებულია ჩემი ერის აზრი, გონების განვითარება და შემქნელი ძალა“.

(დასასრული იქნება)

# ჩვენებური ამბები

**ქ. გორი.** აქაური «პიკნიკის» ხალხი გულს არ იტეხს; თუ აქამდე ურმებზედ მოსიარულენი «ჰარიარალეს» გასძახოდნენ და ყურს არ ათხოვებდნენ თავიანთ გარშემო ცხოვრების ტრიალს, ახლა უფრო გულ-მაგრად უხვდებიან ყოველს ქვეყნიურ გაჭირვებას. ამ წინაზედ ერთმა მათგანმა ბახუსის მიმართ თაყვანისცემისა და მრავალ მსხვერპლის შეწირვის შემდეგ მამაპაპურის ურმით ჩამოისეირნა სამეფო ქუჩაზედ და, კაცმა მართალი უნდა სთქვას, ძალიან ნიჭერად ლანძღავდა იმათ, ვინც მათს ქვეყნიურ მოღვაწეობას თაყვანს არა სცემს.

დიაღ, ამისთანების გმირობას ვერც სიცივე და ვერც უამინდობა, რომელიც აღარ გვეშვება და თავს არ გვანებებს, ვერ უშლის ხელს. ყასპებსაც ხელს ვერა უშლის რა. თუმცა ადამიანი ბუნების მეფეა, მაგრამ იგი მონაა თავის კუჭისა; გორელებიც აწესებენ ხორცზედ ტაქსას, მაგრამ იმას ვინ უცქერის; ნიხრით ჰყიდიან მხოლოდ ისეთს ხორცს, რომელსაც ადამის ჩამომავალი კბილს ვერ დააკარებს. გინდა წაიღე გინდა ნუ,—გვეტყვიან, მეტი ხორცი არა გვაქვსო. თუ თუ კაი ხორცი გინდა, უნდა უთუოდ რამდენიმე კაპეიკი მეტი დაუმატო. ამისგამო ძალიან გაჭირვებაში არიან ჩაცვივნული გორელები, მით უმეტეს რომ აქაური განყოფილება კავკასიის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებისა, სადაც შეიძლებოდა კაცს კარგი გასტრონომიული საქონელი ეშოვნათ, აღარ არსებობს.

**ს. ხიდისთავი.** (გორის მაზრა) აქაურნი მცხოვრებნი თითქმის სულ სასოწარკვეთილებაში არიან ჩაცვივნულნი,— ზამთრის სუსხმა აქაური ვაზი სრულებით გაახმო; ახლა კიდევ გაზაფხულის სიცივემ მოუღო ბოლო, და საწყალ ხალხს ძალა-უნებურად უნდა სულ გადაეჩეხა ვენახები. თავად ისეც გორელ ჩარჩთაგან არიან ვალსა და ვახშში ჩავარდნილნი, გლეხის მიერ მოყვანილი ღვინო სულ იმათ მიაქვთ თითქმის მუქთად, და ახლა ამას ესეც დაერთო. ცოტა ჭირნახულს არა უშავს-რა, კარგი პირი უჩანს, და ამის იმედი-ღა აქვს საწყალ აქაურ გლეხკაცს; თუმცა ისიც ძალიან ცოტა აქვს, რადგან მეტი ნაწილი მევენახეობით სცხოვრობს და ხვნა-თესვას ძალიან ნაკლებად მისდევს.

გიორგი ნამარაძე.

# რ უ ს ე თ ი

**ხერსონი.** (საკუთ. კორეს.) პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორმა ეპისკოპოსმა სერგიმ სთხოვა ყოვლად სამღვდელო კირიონს, უკეთესი თვით მასწავლებელი ქართ. ლის ენისა, რადგანაც მას განუზრახავს ქართული ენის შესწავლა. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ენა თანდათან იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას.

ყოვლად სამღვდელო კირიონი ხერსონიდგან აპირებს გამგზავრებას თავის ახალ სამწყსოში 20—22 მაისს.

ოდესაში შეუდგნენ ყოვლად სამღვდელო კირიონის თხუზულების ბეჭდვას შესახებ ხერსონის ვიკარიატისა. წიგნში იქმნება ყველა თერთმეტი ვიკარის სურათები და აგრეთვე პორთეები ორის მთავარ ეპისკოპოსისა: ინოკენტისა, ხერსონის სავიკარიოს დამაარსებელისა, და იუსტინესი, რომლის მწყემს-მთავრობაში შესრულდა 50 წლის იუბილეი ხერსონის ვიკარიატისა.

როდესაც წიგნი დაიბეჭდება, შიგ მოთავსებულ ცნობებს ქართველთა კოლონიზაციის შესახებ ამ მხარეში გაცნობებთ.

მღვდელ-მონაზონი ტარასი.

# თეატრი და ხელოვნება

**ახალი თეატრი ყვირილაში.** ჩვენი პროვინციის ინტელიგენტი სწორედ შურით უნდა შეჰყურებდეს დაბა ყვირილის ახალგაზდობას, მცირე ჯგუფს ინტელიგენტ ყმაწვილ კაცებისას, რომელმაც თავის შრომა-მეცადინეობით ააშენა ამ მკვირცხლ დაბაში კოპწია თეატრი. თეატრს აკურთხებენ ამ თვის 30-სა; თეატრი კარგა მოზრდილია და დაიტევს 300 მეტს მაყურებელს. თეატრში არის ლოჟები, პარტერი და იაფ ფასიანი ადგილებიც.

თეატრის კურთხევაზე, როგორც გვითხრეს, მიწვეულ იქნებიან ყველა ჩვენი მსახიობნი და აგრეთვე სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და მწერლების წარმომადგენელნი.

**† მომღერალი არტისტი შახლამიანცი.** როგორც პეტერბურგის გაზეთები გვაუწყებენ გარდაცვლილა დიდ სიღარიბეში მომღერალი არტისტი შახლამიანცი. განსვენებული გვარ-ტომობით

სწყინთ ყოველ გვარი შენიშვნა. ჩვენ ცნობილი და პუბლიკის მოწონებული არტისტები ვართ და თვითონ ვიცით, როგორც უნდა ვითამაშოთ და რაც გვეჭირვებაო ეუბნევი: კი ბატონო, ეგ ყოლიფერი მართალია! თქვენ თქვენს ღირსებას არავინ გართმევსთ, ვსთქვათ, ზოგი სალვინები ხართ, ზოგი კოკლენები, მაგრამ ხომ არც ის გენიოსი-არტისტები გამოდიან მოუმზადებლად, ურეპეტიციოდ. რეპეტიციის დროს თუ არ ითამაშებთ და მაგალითს არ უჩვენებთ ახალ გაზდა არტისტებს, არ შეეთამაშებით იმათ და ისინიც თვალყურს არ გადევნებენ, ხომ უშკოლოდ დარჩებიან? და სხვანი. ეუბნები, მაგრამ არტისტები სხვა კანონისა და სხვა გუნების კაცები არიან საზოგადოდ.

ერთი ამბობს: «გუნებაზე არავარ, რადგანაც ჯიბეში გროშ-კაპეიკი არ მიჭყავა და ჯამაგირს არ მაძლევენო»! მეორე იძახის: ხმა არ წამიხდეს, მეშინია, და მიტომ რეპეტიციის დროს ჩუმათ, გულში ვიმეორებ ჩემ როლსო! და სხვანი. ახლა ენის შესახებ უნდა ბრძანოთ! რაც უნდა გაუსწოროთ, ისინი მაინც თავისას გაიძახიან. «ასთე», «მაქანეი», «გოუშვი», «შავიტყე» შევიტყვეს მაგიერად, დავიწყობ» დავიწყებ მაგიერ და ათაასი რამ ამისთანები. ზოგი უცხო კილოზე ლაპარაკობს, ზოგს მრავალ მარცლოვანი ლექსის გამოთქმა არ შეუძლია და «განხორციელების» მაგიერ განხორცებასა, გახორციელებასა და განხოცვას იძახის. ზოგმა არ იცის უფლისწული რასა ნიშნავს და უფლის წულებს იძახის! რასაკვირველია ამაების ყოლისფრის გასწორება შეიძლებოდა, რომ არტისტები არ უკადრისობდენ შენიშვნას და სურვილი ქონდეთ, მართლა გულწრფელად აასრულონ თავისი მოვალეობა და არა ჩვენებურად, ქართველურად: ყოველ საქმეში რომ ბოლიშს მოსახდელად გაიძახიან ხოლმე, არა უშავს-რა, სხვები უარესსაც ჩადიანო! და სხვ. მიდიხარ კომიტეტის წევრებთან, ან მათ თავმჯდომარესთან, და შესჩივი შენს მდგომარეობას. «ეგ როგორ შეიძლებაო?—გიპასუხებენ— სასტიკად უნდა მოექცეთ!.. უნდა დასაჯოთ, ჯარიმა (შტრაფი) გადაახდევინო, უნდა შეაშინოთო... კეთილი და პატიოსანი! მაგრამ როცა სიამტკბილობით და რჩევა-ვედრებით არა გამოდის რა, რადგანაც თვისი მოვალეობა არა აქვთ შეგნებული, ძალით რაღას გააწყობს კაცი? ან რა ნაირად უნდა დასაჯოს? მუშტიკრივს ხომ ვერ გამართავს და ყვირილით, რამდენიც უნდა იყვიროს, ვინ მიაქცევს ყურადღებას? ისინი უფრო ტრაგიკულად და კომიკურად არ დაიღრიალებენ!.. ჯარიმა მხოლოდ უბრალო სიტყვაა.. საქმეს ვერ შველის. ერთი ახალგაზდა არტისტი არ მიდის რეპეტიციაზე და შტრაფს იხდის დიდის სიამოვნებით. თურმე რაოა? იმიტომ, რომ საღამოს საქეიფოდ ყოფილა, ძმა ბიჭებს არ გამოუშვიათ. გამოუღიათ საჯარიმო ერთი თუმანი, საიდანაც არტისტს ხუთი მანეთი მოგებაც დარჩა, რადგანც ჯარიმა ხუთი მანეთი მიაწერეს.—რაც უნდა იუკუღმართოს არტისტმა, მისი არათუ დასიდან გამორიცხვა, დროებითად დათხოვნაც შეუძლებელია. პუბლიკა ჩაერევა საქმეში და შეურაცხყოფას მიაყენებს გამგეობას და უფროსებს: ეგ არტისტი ჩვენი საყვარელია და როგორ გაუბედეთ რამეო! ამ გვარად ქართველი არტისტები, სულ სხვა პირობებში არიან ჩაყენებული, ვიდრე სხვაგან-ყველგან, და სარგებლობენ.

არტისტების დამნაშაობაში, ცოტა არ იყოს, კომიტეტის წევრებსაც მიუძღვის წილი. კომიტეტის წევრები ვერ თანხმდებიან, რადგანაც ერთი მიმართულების და აზრის არ არიან. ზოგი მათგანი იმ ახალ-წრეთაგანია, ყოველივე მშობლიურს რომ უარსა ჰყოფს, რადგანაც მათის შეხედულობით არც ისტორია, არც დღევანდელი ცხოვრების დაკვირვება და არც მამულის გათვალისწინება საჭირო არ არის ჩვენთვის და საკმაოა მხოლოდ, რომ მზამზარეულად რაც სხვა ქვეყნებში, სხვა-ხალხებისათვის დღიური ვარამია და სასარგებლო, ის გადმოვიტანოთ ჩვენ.. მაგალითად ფაბრიკები და პროლეტარიები. გვირჩევენ, რომ პირველ საფეხურიდან პირდაპირ ვისკუპოთ და საჭირო გზის გავუვლელად მაღლა ავხტეთ.. ზეითურებს გვერდში ამოვუდგეთ... მათი აზრით, არც ქვეყნის მოთხოვნილება, არც ეროვნული ელფერი და არც დედა ენა საჭირო არ არის! ზოგი კი სულ წინააღმდეგი აზრისაა.—ამ ორთა შუა გამწვავებული უკიდურესობაა და ეს აფერხებს საქმეს. წლევანდელი კომიტეტიც შესცდა, რომ მეტად დიდი და უხერხული დასი შეადგინა. ტფილისის გარდა სხვა ქალაქებსაც წაეპოტინა და აქაოდა ბევრ წარმოდგენას გავმართავთო, ის დაანაწილეს და აქეთ-იქით დაქსაქსეს არტისტები, ასე რომ «დაბლაც დგებოდნენ და მაღლაც ველარ სწვდებოდნენ». ჯერ ტფილისშივე კვირაში სამი წარმოდგენა იყო ხოლმე: სამშაბათობით საბენეფისო, ხუთშაბათობით სააბონემენტო და კვირაობით სახალხო. რეპეტეციებისათვის ერთი დღე რჩებოდა და ისიც ჩაიფარცხა, რადგანაც უკეთესს არტისტებს ყოველ კვირაში ხან აქ და ხან იქ, სხვაგან, ამოაყოფინებდნენ თავს! ორი-სამი დღე კვირაში გზაში ეკარგებოდათ და დაღალულდაქანცულები რომ ჩამობრუნდებოდნენ ხოლმე, აქ წარმოდგენის დღეს რაღასღა გამოდგებოდნენ? ერთი სიტყვით, არა თუ ახალი პიესების მომზადება, ძველი ათასჯერ ნათამაშევი მელოდრამების წარმოდგენაც ძნელი იყო ხოლმე. ამ შეცდომამ კომიტეტისამ არტისტების ჯიუტობასა და ზაფრიანობას ხელი შეუწყო და ისინიც: «მიზეზ მიზეზ დოს მარილი აკლიაო», გაიძახოდნენ. «მე არ შემიძლია დღეს რომ ვითამაშო! რაც გენებოსთ ის ჩაიდინეთ»! ამბობს ერთი წარმოდგენის წინეთ და როლსაც უკუ აგდებს.

— რათა, რამ მოგიარა? ეკითხები დაღონებული.

— მე რაც მინდოდა, ის პარიკი არ მოუტანია პარიკმახერს! სხვა არის, რაღაც ყვავის ბუდის მსგავსი და იმას როგორ გავიკეთებ? სამასხაროდ ხომ ვერ გახვალ სცენაზე?!

— ახლა რაღა დროსია? ფარდა უნდა ავსწიოთ.

— ეგ ჩემი საქმე არ არის... გაჯავრებული გარბის.

მეორე ამბობს: «ამა და ამ არტისტმა მცემა, უმიზეზოდ გამლახა და მეც თავს ვანებებ სცენას. აი თქვენი როლიც«

მესამე ანჩხლობს: ესა და ეს არტისტი ქალი მეჩხუბება, ჩემი როლი რათ აგიღიაო! აღარ მასვენებს და მეც აღარ მინდა ვითამაშო. აი თქვენი როლი.

მეოთხე მედიდურად ბრძანებს: კაბა არა მაქვს და ტიტველი ხომ ვერ გამოვალ სცენაზე?

— როგორ თუ არა გაქვს? აკი გულდა-გულ შევაკერინეთ ამ როლისათვის კაბა?

— კი, მარამ ის ამა და ამ არტისტქალს ეცვა და მე მის ნაცვამს აღარ ჩავიცვამ, რადგან დღეს დილით ჩხუბი მოგვივიდა ერთმანეთთან, აი თქვენი როლი! გარბის.

მეხუთე წუწუნებს: «მე გთხოვთ, ჩემ მაგიერ სხვა ათამაშოთ! მე ამა და ამ არტისტთან არ შემიძლია თამაში: ის ახმახია და მე კი პატარა ტანისა. კოცნის დროს იმან უნდა დაიხაროს და მე ფეხის თითებზე შევდგე. პუბლიკას გაეცინება: მე არ მინდა, არ ვითამაშებო».

— ქალო! რავქნათ ახლა? შენ ხომ ხატის სანთელი არა ხარ, რომ დაგასორსოლაკოთ და სიგძე მოგიმატოთ? და ან იმას ხომ მუხლებს ვერ გადავჭრით?

— როგორც გენებოთ, აი თქვენი როლი? დამაწერე შტრაფიო.

ამ გვარი რამეები ათასობით ჰხდება კულისებში! ჭირვეულების სამაგიეროდ, რომ წარმოდგენა არ გადაიდვას და პუბლიკა არ აღელდეს, უნდა სხვები გამოიყვანო მოუმზადებლად და სუფლიორის შემწეობით ათამაშო. პუბლიკა უკმაყოფილებას აცხადებს, რადგანაც ვერაფერს სიამოვნებას გრძნობს, უხერხულ წარმოდგენის გამო! და რეცენზენტებიც სულ სხვა ნაირად გაიძახიან ჟურნალ-გაზეთებში, ისინი რას დასდევენ, თუ რა ამბები ჰხდება კულისებში, და ბრალს უბრალოებს ადებენ. აქ მე წვრილმან მიზეზებს ვიხსენიებ და უფრო მსხვილების გამომჟღავნება აღარ მინდა, რადგანაც ესენიც, ვგონებ, ახასიათებენ ქართულ სცენას. ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ კიდევ ისევ ისე დარჩა მერმისისათვისაც ქართული სცენა, როგორც აქამდინ ყოფილა და ან დღეს არის, არ ივარგებს, ვნების მეტი არა გამოვა რა! ნუ თუ მარტო კუდა-ბზიკობით, მხოლოდ მიტომ რომ ვიძახდეთ «ჩვენც ნახირ-ნახიროთ», უნდა ხელოვნება ვუწოდოთ ან ვემსახუროთ იმისთანა რამე ბურჭულობას, რომელიც ენას ამახინჯებს, აზრს აფუჭებს და უზნეობას ემსახურება? მაშინ როდესაც ქართული სცენა, ყველგან უეჭველად ხელოვნებას უნდა ემსახურებოდეს და ეროვნულ ინტერესების დამცველი იყოს. სცდებიან ისინი, ვინც ამბობენ: რა გასახსენებელია ჩვენი წარსული? რა გამოსაძიებელია აწმყო? და რა საფიქრებელია მომავალი, მაშინ, როდესაც ცხოვრების გზა და კვალი სხვაგან გაკვლეულია და ჩვენც იმ გზით უნდა ვიაროთო! ენას რა მნიშვნელობა აქვსო? ეროვნული ელ-ფერი ოცნებააო და სხვანი. დიაღ, სცდებიან, მაგრამ ერთიათად მათზე უფრო შემცდარნი არიან მათნი ამყოლნიცა! ქართულ სცენას ეჭირვება გადაკეთება, რომ დღევანდელი წეს-წყობილება შეიცვალოს და სცენაც მართლა რამეს დაემგზავსოს.

ავკი.

(დასასრული იქნება)

სომეხი იყო და ამ ხუთმეტის წლის წინად შეისწავლა სიმღერა და ერთხანად კარგი სახელი ჰქონდა გავარდნილი როგორც მძლავრი ხმის პატრონს. მსახურობდა მოსკოვის და პეტერბურგის ოპერებში. ბოლოს დროს უფრო კონცერტებს ჰმართავდა რუსეთის სხვა-და სხვა ქალაქებში. რამდენჯერმე ტფილისშიაც მღეროდა.

---

# წ ე რ ი ლ ი

## რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ.

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს უფროს საქმის მაწარმოებელს თეოფანე დავითის-ძეს ბახტაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდა რწმუნებული სასწავლებლის წიგნთ საცავს 22 ცალი აკაკის. „კრებული“, ღირებული 12 მანეთად.

ზედამხედველი ტობანიერის ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებლისა ვლადიმერ ნაცვლიშვილი.

—

ბატონო რედაქტორო, ნება მომეცით თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით უარვყო ის ტენდენციური სიცრუე, რომელიც მოთავსებულია "მოამბის" მე-2 წლის ბიბლიოგრაფიაში ჩემ მიერ შედგენილის «ჭოლოკის» შესახებ. ბიბლიოგრაფი ამბობს, კითომც, ზოგი ლექსი გაზ. «ივერიის» საკვირაო ფელეტონებში «შურდულში» იყო მოთავსებული.“ რადგანაც ერთხელ დაბეჭდილის ხელმეორედ გამოცემას ყოველთვის უფრო ნაკლებ ეტანება მკითხველი და შეიძლება ზემორე ხსენებულმა სიცრუემ წიგნაკის გაყიდვას ხელი შეუშალოს, ამიტომაც ვაცხადებ, რომ არც ერთი ლექსი, არც სხვა რამ «ჭოლოკში» მოთავსებული, არც «ივერიაში,« არც სხვაგან რომელსამე გამოცემაში დაბეჭდილი არ ყოფილა.

თ მაგრაძე.

---

# დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მაისი.

**პეტერბურგი.** დეპეში მისს უდიდებულესობის სახელზე გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინისა 9 მაისით: ფინშუილინის მთის მხარეს მშვიდობიანობაა. სიუიანის მხრიდან იტყობინებიან, 8 მაისს შევნიშნეთ იაპონელთა რაზმების წინ წაწევაო, რაზმები შესდგებოდა ერთი ქვეითა პოლკისაგან და ორი გვარდიის ცხენოსან პოლკისაგან, მოდიან ხაბალინიდან სალიძიპუძისაკენ. ღამე 8 მაისს ჩვენმა ასეულმა, რომელიც მიდიოდა დაგუშანიდან ლიუანშიასაკენ, 16 ვერსზე დაგუშინიდან, შენიშნა იაპონიის ქვეითა რაზმი, რომელმაც ასეულს სროლა დაუწყო. ლიადუნის ყურეს ნაპირებზე ცვლილება არ მომხდარა.

**ფუზანი.** («რეიტერის სააგ.»). როგორც ჩინიური წყაროები გადმოგვცემენ, 2 ათასმა რუსმა კვლავ დაიჭირა სიუანი და ყოველ მხრისაკენ გზავნიან პატარა-პატარა მზვერავ რაზმებსა, მაგრამ ბრძოლას ვერ გამართავენ, მინამ უფრო მეტი ძალა არ მიემატებათ.

**ნიუჩუანი** («რეიტერის სააგ.»). ჩიფუდან მოსულ გემებს ზღვაზე უნახავთ დიდძალი ნამტვრევები; ფიქრობენ, ეს ბრანდერებისაო, რომელიც ჩახერგილია პორტ-არტურის შესავალში და რომლების გაფუჭებას რუსები ცდილობენო. რუსებს კვლავ უჭირავთ ნიუჩუანი.

**მუკდენი.** («რეიტერის სააგ.»). მხოლოდ დღეს მოვიდა ცნობა იმ უბედურებისა, რომელიც იაპონიის ფლოტს დაემართა პორტ-არტურთან და ამაში ჰხედამენ მიზეზს იმ საიდუმლოისას, რომ იაპონელებმა შეაყენეს სატევი მოძრაობა.

**ჩიფუ.** («რეიტერი სააგენტო»). 40 რუსმა, რომელნიც 8 მაისს წამოვიდნენ დალნიდან და აქ მოვიდნენ, სთქვეს, რომ დალნიზე ჯერ კიდევ არ იყო იერიში მიტანილიო.

**თავრიზი.** 5 მაისს ტეგერანიდან მოვიდა სპარსეთის ტახტის მემკვიდრე, ქალაქიდან 15 ვერსზე მიეგებნენ წარმომადგენელნი რუსთა დაწესებულებათა, ის მიბრძანდა სასახლეში,

**ტოკიო.** («რეიტ. სააგენ.»). რამოდენიმე თათბირის შემდეგ მინისტრთა, მხცოვან სახელმწიფო კაცთა და ბანკირთა შორის, მიიღეს ახალის შინაგნის სესხის 100 მილიონ იენის პირობანი. სესხი 5% იქნება და შვიდ წელიწადში უნდა დაიფაროს.

**ტულა.** გუბერნატორმა საიმპერატორო კარის მინისტრისაგან მიიღო დეპეშა, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მადლობა გამოუცხადა ქალაქის მცხოვრებლებს, აგრეთვე მამასახლისებთან მოსულ გლეხობას მიღებისა და წესიერებისათვის მისი უდიდებულესობის ტულაში ყოფნის დროს. მოსწავლენი სამის დღით დაითხოვეს.

**კრემენჩუგი.** ქალაქმა და ერობამ დიდის ამბით გააცილეს შორეულს აღმოსავლეთში მიმავალი ჯარები; პოლკებს ხატები მიართვეს, ჯარის კაცებს დაურიგეს ჯვრები, 200 ფუთი შაქარი, 9 ფუთი ჩაი და სხვა და სხვა ნივთები.

**გიანძე.** («რეიტერის სააგენტო»). როდესაც თიბეთელებს უკან დაახევინეს იმ სოფლებიდან, რომელიც ინგლისელთა ბანაკს ახლო იყო, მოკლულ იქმნა ორი შეიხი, დაიჭრა ერთი აფიცერი და 3 ჯარის-კაცი.

**ხარბინი.** აქ მოჰყავთ იალუზე დაჭრილნი. როგორც ამბობენ, გენერალმა რენნენკამპფა რამდენიმე იაპონიის ტრანსპორტი დასწვა იალუზეო.

**კიევი.** უფროსი, გენერალ-ადიუტანტი კლეიგელსი პეტერბურგს წავიდა.

**ადესა.** მოვიდა დარიყული გემი აზოვი. ძიელ არ არის დაზიანებული.

11 მაისი.

**პეტერბურგი.** «პრავ. ვესტ»-ში დაბეჭდილია: «ტიურენჩენის ბრძოლამ დაგვანახვა, რაოდენად დამაზარალებელია ახლანდელი ომიანობა, როცა პირისპირ მებრძოლნი შეიარაღებულნი არიან განკარგებულის თოფ-იარაღით. იმ ბრძოლაში მხოლოდ ჩვენი მოწინავე ჯარი შეეჯახა მტერს, ხოლო ახლოა დრო, როდესაც უფრო დიდი სიმრავლე ჯარისა შეებრძოლება ერთმანერთს. საჭიროა ახლავე დიდი შეწირულება ყოველნაირ საცვლისა მეტადრე ხარბინის საწყობისათვის, რომელიც ხელმწიფე იმპერატრიცას სახელზეა დაარსებული. შეწირულება შეიძლება გაიგზავნოს ან პირდაპირ ხარბინს, ან წითელის ჯვრის მთავარ საწყობში, ან კიდევ მათ უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატრიცათა პეტერბურგის საწყობებში.

9 მაისს გატჩინოს სასახლეში საუზმე იყო გამართული მათ უდიდებულესობათა თანა დასწრებით ბეგთაროსანთა პოლკის არსებობის ორასის წლის შესრულების გამო. ამ პოლკის შეფად ბრძანდება ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული. ხელმწიფემ აილო ჭიქა და ბრძანა:

«მისი უდიდებულესობა, უავგუსტოესი შეფი პოლკისა და მე სულითა და გულით ვულოცავთ პოლკს დღევანდელს დღეს. ვმადლობ ლეიბ-გვარდიის ბეგთაროსანთა პოლკს მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისას ორასის წლის სახელოვან სამსახურისათვის ტახტისა და სამშობლოს წინაშე».

გაისმა ხმა მარშისა და მას შემდეგ მისმა უდიდებულესობამ ბრძანა:

«ადღეგრძელოს უავგუსტოესი შეფი ლეიბ-გვარდიის ბეგთაროსანთა მისის უდიდებულესობის პოლკისა ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული».

აღტაცებული „ურა“ დიდხანს არ შეწყვეტილა თეთრსა და მახლობელს დარბაზში.

**ლონდონი** »ტაიმსის« კორესპონდენტი იწერება დეპეშით ვეიჰაივეიდან: «გენერალი კუროკი ფინხუანჩენშია. აწვენებს თავის ჯარს, რათა უკეთ მოემზადნენ დიდის საქმისათვის—ლიაოიანის შესატევად. თან ელის მესამე ლაშქრის შემოსატევად წამოსვლასაც. მესამე და პირველი ლაშქარი ერთად იმოქმედებენ. რუსთა ჯარები თავ-მოყრილია ლიანშანთან, რომელიც შუა გზაზეა ლიაოიანსა და ფინხუანჩენს შორის. ამ ჯარმა უნდა დააბრკოლოს კუროკის სვლა ლიაოიანისაკენ».

**არრასი.** პრეზიდენტმა ლუბემ გაიხსენა თავის მოგზაურობა რუსეთსა და ინგლისში და უთხრა პასუხად მერს: „გარეშე პოლიტიკა საფრანგეთისა შეურყეველია და ეტანება იმასვე, რასაც წინადაც ეტანებოდა. ყველა სამინისტრონი ერთნაირის გრძნობით -რიან გამსჭვალულნი და სწადიანთ დაცვა მშვიდობ ანობისა, განმტკიცება ჩვენის კავშირისა და ჩვენის მეგობრობისა რუსეთისა, ინგლისისა, იტალიისა დ სხვა დიდ სახელმწიფოთა მიმართ. ეგ საქმე სახელია და დიდება რესპუბლიკისა“. მაგ საქმეს შევსწირე ჩემი სული და გული.

**ვლადივოსტოკი,** 11 მაისს. (საკუთ, კორესპ.) გუშინ დაასაფლავეს პირველი მსხვერპლი ნება ყოფლობით მებრძოლი ერთ-ერთის გუნდისა გრიგოროვი, მოკლული უსურიის მხარეში ხუნხუზების მიერ მაშინ, როცა იცავდა გასაგზავნ ხეტყეს. პრიამურიეს უმაღლესი წყალობა ებოძა—აღდგენილ იქმნა პორტ-ფრანკო ვლადივოსტოკის ბირჟაზედ. ამის გამო დიდის ამბით გადაიხადეს პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ «ურას» გრიალით მიეგებნენ სადღეგრძელოს.

**ხარბინი.** (რეიტ. სააგ) რკინის გზით მისვლა-მოსვლა თავისუფალია. ხუნხუზები გაფანტულია.

**ნიკოლაევსკი,** 9 მაისს. ამურზედ ნავოსნობა დაიწყო. 9 მაისს წავიდა ხაბაროვსკს გემი და წაიყვანა სახლობანი სამხედრო სამსახურში მყოფთა, დაამთავრეს კურსი დათა სათნოებისათა. ექვსი და ჩარიცხულ იქმნა აქაურ ქსენონის სამსახურში. შემოწირულება კერძო ფლოტისათვის 3 ათას მანეთს აღემატა.

**ტოკიო.** (რეიტ. სააგ.) ბანკირებმა გამოაცხადეს, რომ სულ სახელმწიფოს ვალის რაოდენობა, შინაგან სესხით აღებული, მარტამდე, ვიდრე ომი დაიწყებოდა, 410 მილიონი იენიაო. ნახევარი ამ ფულისა პირველის სესხით იქმნა ნაშოვნიო.

**ვეიჰაივეი** («რეიტ. სააგ.») რადგან მრავალია რიცხვი ნაღმებისა, რომელიც ზღვაში თავისუფლად დაცურავს, მენავენი უარს ამბობენ, ნავთსადგურიდან ვერ გავალთო და მხოლოდ მცირედი მათი რიცხვი განაგრძობს სურსათისა და ნუზლსანოვაგის ზიდვას პორტ-არტურისათვის.

**ინკოუ.** («რეიტ. სააგ.»). იაპონელთა მეორე ლაშქარი მძიმედ მიდის წინ ბიძივოდან პორტ-არტურისაკენ, რათა იერიში მიიტანოს ზღვისა და ხმელეთის მხრივ და დაიპყროს ვიწრო ყელი. ამ ყელის დაჭერა საჭიროა, რადგან უამისოდ ალყა სავსებით ვერ შემოერტყმის პორტ-არტურს. გენერალი ფოკი მედგარმს წინააღმდეგობას გაუწევს ალყის შემორტყმელთ. მის ჯარს მიეშველებიან მეციხოვნენ, დალნისა და ცინჯოუსი. იქ არის უკვე იაპონიის ესკადრა, რომელიც დაითარეშობს ტალიენ ვანის ესკადრასთან ერთად და ემზადება იერიშით მივიდეს ჯინჯოუს ყელის ასაღებად ზღვის მხრიდან მაშინ, როცა მეორე ლაშქარი შეუტევს ამ სიმაგრეს ხმელეთით წინიდან. აქამდე იაპონელებს არ შეუტევიათ იერიშით ნიუჩუანისათვის.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

7 მაისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირ. სტ. | — |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,55 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 90⅛ წვ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 87¾ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მოგ.-ბილ. 1864 წ. | 367 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. | 296 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 260 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 90⅜ წვ. გაყ. |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

---

# განცხადებანი

## შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან

შავი ქვის მრეწველთა საბჭო აცხადებს, რომ 18 მაისს 1904 წ. დილის 12 საათზედ, ქუთაისში დანიშნულია ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა:

1) საკლდატოხო საქმე სამკურნალოს შენობაზედ ჭიათურაში—3646 მან. 80 კაპ.

2) სადურგლო საქმე სამკურნალოს შენობაში—7900 მან. და

3) ატამნარ-ჭალის გზის შეკეთება შავი ქვის მადნებზედ—2117 მან.

ვისაც სურს ივაჭროს, უნდა წარმოადგინოს საბჭოს კასაში ვაჭრობის დაწყებამდე ბედ გადადებულ ფულის 5%-ი ნაღდ ფულად, ან მთავრობის მიერ უზრუნველ ფასიან ქაღალდებად. ვაჭრობა უნდა დამტკიცებულ იქმნას საბჭოს მიერ. ბე უბრუნდება იჯარადარს 6 თვეს შემდეგ იმ დღიდან, რა დღესაც სამუშაო ჩაბარებულ იქნება.

(2—6—2).

---

ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის სამეურნეო საზოგადოება «კოლხიდა»-სი დანიშნულია 30 მაისს, საღამოს 7 საათ., ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სადგომში.

### განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1903 წ. ანგარიშისა.

2) მოხსენება: სარევიზიო კომისიისა 1903 წ. ანგარიშის გამო.

3) გამგეობისა ამხანაგობის აპერაციების შესახებ.

4) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1904 წლისათვის.

5) არჩევა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

(1—6—1).

---



ა მ ე რ ი კ ი ს

## ავტომობილები

**ბენზინით მოძრავი**

## ველოსიპედები

ბენზინის მატორებით.

**АКЦ. О-во „ЭНФИЛЬДЪ“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.**

СПБ. Морская, № 30.

(10—6—10).

---

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა. ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურ ას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებისერითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

## 70% ე კ ო ნ ო მ ი ა 70%

უკანასკნელ დროის კონკურენციისა და საწყობში დიდ-ძალ დამხადებულ საქონლის გამო და აგრეთვე ფირმის გასაძლიერებლად, იძულებულნი ვართ დაუთმოთ ძალიან დაკლებულ ფასად.

მ.რტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით

ქვემოთ-ჩამოთვლილი სასარგებლო და ფასიანი 8 ნივთი. 1) **საათი** გაშავებულ ფოლადისა კაცისა ანუ ქალის ანუ კაცისა დაფერილი ოქროთი (გატარებული ცეცხლი) ძალიან მშვენიერია, მაგარი მექანიზმით და 6 წლის ბულღავანობით. 2) **ძეწკვი ახალი ოქროსი** პრტყელი (პანცირისა) ანუ მოკლე ნიკელისა ან ქალისთვის ყელისა ახალი ოქროსი, 3) **ბრელოკი** ახალი ოქროსი: «კომპასი» ანუ სხვა, 4) **მეშის ქისა** საათის შესანახად. 5) ჯიბის ელექტრონული ფარანი, რომელიც იძლევა ძლიერ სინათლს ანუ **ბეჭედი ოქროსი 56 დამღისა** ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზედ ჩამოსაკიდებელი. 6) **კალმის დანა** საუცხოვო საზღვარ-გარეთის ფოლადისა ან **მუშტუკ-აპარატი** უვნებელ წევისათვის ან შეფერილი მაკრატელი. 7) ტყავის ქისა ერთი სახურავით და 7 განყოფილებით, მექანიკურ საკეტით და მყიდველის სახელის, მამის სახელის და გვარის ბეჭედით. 8) **ქისა** საზღვარ-გარეთის ტყავისა მისალოც ბარათებისთვის, ქაღალდებისთვის და საბუთის წერილებისათვის ან წყვილი საყურე ოქროსი 56 დამღისა ქვებით. ყველა ამას ვგზავნით მუქთ საჩუქრათ უბეოდ ფას დადებით მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით თავ-სახურავიანი საათი დამატებით, 1 მან. და 50 კაპეიკით მეტი ღირს.

მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: Главному Складу Часовъ Торговаго Дома.

*Ш. Якобсонъ въ Варшавѣ, Тверская,* 32/350

აზიის რუსეთსა და ციმბირში უბეოდ არ გაეგზავნებათ და გადახდებათ აგრეთვე ნაწილი გასაგზავნ ხარჯისა.

პრეისკურანტი უფასოდ.

(3—6—3)

---

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

—

თანახმად **უმაღლესად** დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს სახელმწიფო საბჭოს აზრისა იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებლად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიაც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დ ქაიხოსრო დავითის ძის ავალიშვილის მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის კვიტანცია ას-ორმოცდა-ათი მანეთისა (150), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება ზემოხსენებულ თ-დ ავალიშვილს.

(3—6—3).

---




Дозволено цензурою Тифлисъ 11 мая 1904 г.

Тип. Е. И Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.